№ 37

ხუთშაბათი, 17 თებერვალი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 37

ხუთშაბათი, 17 თებერვალი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

**სალომე ი. კერესელიძე**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—30)

**ქართველ ქალთა სამკერვალო**

მიიღებს კაბებს შესაკერად, რისთვისაც მოწვეულია მცოდნე მკერვალი ქალი.

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე კნ. ა. ა. **ამილახვარი**, ამ საზოგადოების სასარგებლოდ, 18 თებერვალს, „ტფილისის კრუჟოკის" სადგომში, გამართავს

**საცეკვაო საღამოს.**

მანდილოსნებისათვის გულ-ამოჭრილი კაბები სავალდებულო არ არის. ბილეთი 2 მან. 10 კ. ჰღირს, იყიდება საზოგადოების თავმჯდომარესთან, ძველი-ინსტიტუტის ქუჩა, ტერ-ასატუროვის სახლი, და საზოგ. მდივანთან. ი. ბ. ხალათოვთან, ლაბორატორიის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 4. (3—49—2)

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. რ. ღინაშვილის მიერ ნაანდერძევი

**ფოტოგრაფია**

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (უ.—2)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ბ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი— მორიგებით.

გუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**შ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ჰ. ქარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. ზურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა მე-151 პიატიგორსკის პოლკის პოდპოლკოვნიკი თავ. ვაჩნაძე მე-77 ტენგინის მისის იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის სახელობის პოლკში.

ჩარიცხულ იქმნა: პოდპორუჩიკი გაჩეჩილაძე მინგრის საინჟინრო სათადარიგო ჯარში.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ავადმყოფობისა გამო სენაკის მაზრის უფროსი, ქვეითა ჯარში ჩარიცხული პოდპოლკოვნიკი ივანე ქაიხოსროს ძე ქავთარაძე.

## ახალი ამბავი

*** 12 თებერვალს პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს სხდომაზედ მონაწილეობა მიიღეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. კ. ი. მუხრან-ბატონმა და კავკასიის სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის იურის კონსულტმა ბ-ნმა საყვარელიძემ, რომელნიც მიწვეულნი იყვნენ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ხიზანთა დებულების გადასინჯვის დროს საჭირო განმარტებანი წარედგინათ.

*** მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში უკვე წარუდგენიათ ქ. თელავში შემდგარ მეღვინეთა და მევენახეთა კრების შუამდგომლობანი: 1) კახეთში მეღვინეობის სკოლის დაარსებისა, 2) კახეთში ფილოქსერიან ადგილებიდგან მცენარეთა შემოტანის აკრძალვისა, 3) კახეთში მეღვინეთა და მევენახეთა ინსტრუქტორების გამრავ-

## ფელეტონი

### რა გავაკეთოთ

(მეოცე საუკუნის დამდეგში მაინც)

I

ისეთი საოცარი ბუნება-ხასიათისანი ვართ ქართველები, რომ თვით ენა-მზიანი და ენა-მდიდარი დემოსთენ-ციცერონის უკვდავი მჭევრ-მეტყველებაც და ღვთაებრივი დანტეს შემოქმედებითი ნიჭიც ვერ დაგვახასიათებდა ყოველ-მხრივ სისრულით, უმეტ-ნაკლებოდ. სხვა მრავალ ნაკლთან დიდის ხსენიდგანვე თან დაჰყოლია ჩვენს ბუნება-ხასიათს შემდეგი ნაკლიც ბედ-უკუღმართობისა: ყველანი, ქუდიანი თუ უქუდო, ბედნიერს ცხოვრების მოპოვების შესახებ ვსჯა ბაასობთ სიზმარშიაც-კი გაცხარებით, ყველას ბედნიერი ცხოვრება გველანდება, გვენატრება და გვწყურიან წყურვილ-მოუკლავად ცხადით თუ ძილში და იმას-კი აღარ ვაკეთებთ, რაც ადამიანს, ცოტად თუ ბევრად, ბედნიერ ცხოვრებას ანიჭებს და ვრჩებით მუდამ ასე გარიყულნი ცარიელი სიტყვა ოცნებით ამ უანგარიშო სამოქმედო მადლთა დამბადებელ მეცხრამეტე საუკუნის აღსასრულშიაც-კი. ვაი სირცხვილო!.

თუ ვინმე ქვეყნის გულ-შემატკივარი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ხმას საგულისხმო მოწოდებისას ამოიღებს: მოდით, ძმანო, შევხედოთ გაჩენს, შევიფუროთხოთ ეშმაკს, დავანებოთ თავი ერთმანეთის გამათახსირებელ შენ-ჩემობის შურსა და მტრობას, მივცეთ მხარი მხარს, ვახსენოთ ღმერთი, დავადგეთ ამა და ამ გზას ცხოვრებისას ქვეყნის სიკეთისათვის და ამ გზით მაღალნი მრავალ-ტანჯულნი უფრო ადრე და მალე მოვეწევით ბედნიერ ცხოვრებასო, ზოგნი „ბევრგვარ მიზეზის გამო" ყურსაც არ ათხოვებენ მის ძმურს რჩევას საკეთილოს, ზოგნიც შურ-ღვარძლიანის მტრობით, თუ ყოვლად უნიჭო ჯაგლაგა და ტრაბახა მეცნიერთა უმეცრების მეტიჩრობით ყოყოჩა მამალ ინდაურსავით გაიბერებიან სასაცილოდ და არრის მაქნის, ფუქსავატ ხანხლია-ნაცარ ქექიას თავ-მომწონე მედიდურობა-სიამაყით მოჰყვებიან ტიტინს მასხარულ ღრეჭა-კრეჭით: ხე, ხე, ხე, რას მიედებ-მოედებით, თქვე საცოდავნო, მაგ გზას რომ დაადგეთ, ხომ ყველანი უძირო კლდეში ჩავცვივითო—და უყურეთ მერე სეირს: დღე-მოკლე ენძელასავით ჩქარ-წარმავალნი ცრუ-მეცნიერნი რა ყიზილბაშურის ყიჟინა-ზარ-ზეიმით დაუშვენენ თავიანთ ჭკუა ლატაკობის დაობებულ წამლით გატენილ ჩიხის ქშატუნა დამბაჩებს ქვეყნის იმ გულ-შემატკივარს!..

დროა ამ მეცხრამეტე საუკუნის სულის ლევაში მაინც სული დახვალევინოთ ჩვენც საკეთილო სიტყვის საქმით აუსრულებლობის დაუდევრობას და გაუბედაობას სამარცხვინოს, საქვეყნო-საზოგადო საქმის მიმართ გულ-გრილობას ყურ-მოყრუებულს, ერთმანეთის გამათახსირებელ შურ ღვარძლიან მტრობას საზიზღარ დაუცხრომელს და ჭკვა-გრძნობით გამოლატაკებულ ძალად-მეცნიერთა უმეცრულ კრიტიკანობას სასაცილოს. დიაღ, დროა კარზე მომდგარ მეოცე საუკუნის ახალ-სხივ-მომფინარე განთიადის ჟამს მაინც მივცეთ ყველამ ერთმანეთს ძმა-მოყვრულად მხარი მრავალ-ტანჯულ ქვეყნის გულისათვის, აღვიჭურნეთ ძლევა-მოსილებით აღსავსე მოქმედების მძლავრის მხნეობით და მტკიცე-დაურღვეველ ერთობის მძლეთა-მძლე ძალ-მადლის ძლიერება-წყალობით მოვჰკიდოთ ხელი ისეთ საქმეებს, რომელნიც-კი ჩვენს ქვეყანა-ერს გაამდიდრებენ ქონებითაცა და გონებითაც.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, როდესაც თითქმის ყველანი, ქუდიანი თუ უქუდო, ჩვენის ქვეყნის ერთად-ერთ ხსნას სკოლების სოკოს სისწრაფით გამრავლებასა და მეურნეობის ახალ-წესებით გაუმჯობესობაში ვხედავდით, მაგრამ შეგვიბრალა დამბადებელმა, მივხვდით ამ ბოლო წელიწადებში ჩვენს შეცდომას და ნეკზე კბენით წამოვიყრანტიალეთ მოსხლეტით: ბიჭოს! ერიჰაა! ეს ხომ ჩვენც ისე მოგვდის, ეშმაკები რომ ტიკებს ამზადებდნენ და ღვინო-კი არსად ჰქონდათო! მართლაც და საიდგან, რა ჯადობაზური მანქანებით გავიმრავლებდით სკოლებს სოკოს სისწრაფით და ან რა გზით გავიკარგებდით ყველანი ნოეს დროინდელ წეს-რიგზედ დამყარებულ მეურნეობას მეცნიერების რჩევა დარიგებისამებრ, როდესაც ქვეყნის დასაღუპავად მოწყობილი ფულისა თუ სხვა ასიათასს გვარ საგანთა აღებ-მიცემობისაგან ტყავ-გამძვრალნი დღესაც გაჭირვების ჭირ-ვარამში ვიხრჩობით ნასწავლნიც და უსწავლელნიც და მუდამ თაგვები გვითამაშებენ ჯიბეში. ძლივს, ძლივს გამოვფხიზლდით ბურანში წასულები მოვიფშვნიტეთ ნამძინარევი თვალები ლუარსაბურის მთქნარებით, მივიხედ მოვიხედეთ ზანტად, და ეხლა კი, გონება უბადრუკ, ურწმუნო თომას და ცრუ-მეტყველთა ცრუ-მოძღვრების ბრმად-მორწმუნე, გონება-დაგვალულ განუსჯელების გარდა, ყველანი დავრწმუნდით, რომ დღეს თუ სხვა და სხვა გვარ-ტომობის დაწინაურებულნი ერნი კიდევ ბაყბაყ-მდევის ნაბიჯით მიისწრაფიან წინ ათასგვარ წარმატებისაკენ, და ჩვენ კი ლონე-მოწყვეტილ კუს ნაბიჯითაც ვერ მივბობღავთ ყოველ-მხრიულ პროგრესისაკენ, ეს იმისი ბრალია, რომ ისინი მდიდრები არიან ნივთიერად, და ჩვენ კი ლატაკნი და საწყალობელნი.

ეხლა აქ თავის-და თავად იბადება შემდეგი საკითხი: რისგან არიან ისინი მდიდრები ნივთიერად და რადა ვართ ჩვენ ლატაკნი? მაგრამ ეს უტყუარი ჭეშმარიტებაც ხომ, მადლობა ღმერთს, დღეს ყველამ შევიგნეთ და ვიცით, რომ ისინი თავიანთ საკუთარ ვაჭრობა-მრეწველობას დაუწინაურებია ქონებითაცა და გონებითაც და ჩვენ კი ჩვენი საკუთარი ვაჭრობა-მრეწველობის უქონლობით ვიღუპებით სხვებისაგან. მთელი საქართველოს მცხოვრებელი დიდა ბურჯი ღვთისგან კურთხეული დედამიწა—მეურნეობა ყოფილა, არის და იქნება მარადის ცხოვრების უმთავრეს წყაროდ, მაგრამ საქართველოს იმ თავისს მაცხოვრებელ მეურნეობის უთვალავ მილიონების სალადი (პური, ქერი, ფეტვი, სიმინდი), ღვინო, ცხვარ-ძროხა და სხვა ასიათას გვარი ნაწარმოები მეურნეობისავე დღესაც ბზის ფასად ეცლება ხელიდგან უცხო ვაჭარ-ჩარჩ-მოვაჭრეებისაგან და ეს ვაჭარ-ჩარჩ-მოვაჭრეები უთვალავ მილიონების ასიათასგვარ სავაჭროებს და სასესხებლებს აძლევენ და ასყიდებენ მამასისხლად და ხშირად საარაკოდ მოსათხრობლადაც. აი სადა ჰმარხია ქვეყნის დამღუპავი ძაღლის თავი!

საკვირველია, ან პირში სული როგორღა უდგა ჩვენს ერს, რომელიც მთელს თავისს სიცოცხლეში ყოველ დღე და ღამ და ყოველ წამ-წუთში მუდმივ ცხოვრების საარსებო გალებაშიაც იძარცვება და აღებაშიაც. მაგრამ აბა მოუწყეთ და მოუმართეთ ხრონომეტრის მეხანიზმივით საქართველოს ყოველ კუთხეს და სოფელს საკუთარი აღებ-მიცემობა ისე, რომ აღარც ყოველ-დღიურ გაღებაში იძარცვებოდნენ, აღარც ყოველ-დღიურ

ლებისა და 4) წვრიმალ სახაზინო ადგილების ადგილობრივ მცხოვრებლებზედ გაყიდვის შესახებ.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავმა სთხოვა მთავარ-მართებლის კანცელარიას მაცნობეთ მთავარ-მართებლის საბჭოს დადგენილება ქალაქის მიწებზედ საერობო გარდასახადის შეწერის შესახებაო.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის თავმჯდომარეობით 15 თებერვალს მოხდა ქალაქის საქმეთა საკრებულოს კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდა ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე. კრებამ დაადგინა: 1) დამტკიცებულ იქმნას ქალაქის საბჭოს დადგენილება ქალაქის ლომბარდის 1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ და 2) ქალაქის 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, მხოლოდ ერთის პარაგრაფის გამოკლებით. რაც შეეხება იმ საქმეებს, რომ სამართალში იქმნან მიცემულნი: ქალაქის მოურავი და გამგეობის წევრნი სასჯელთა დებულების მე-406 მუხლის ძალით, სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველნი—კუზანოვი და ხეროდინოვი იმავე დებულების მე-354 მუხლის ძალითაო და ტფილისის საბჭოს იმ დადგენილებას, რომ ხმოსანი თ. ნ. ზ. თუმანოვი დაფასების ოქმებში სიყალბის ჩადენის გამო პასუხის გებაში იქმნას მიცემულიო, კრებამ გადასდო ამ საქმეთა განხილვა შემდეგ სხდომისათვის.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს საზოგადო კრების დადგენილებით ნაფიცს ვექილს ბ-ნს როხლინს ერთის წლით აეკრძალა სასამართლოებში საქმეების წარმოება.

⁂ ამ წლის 1 მარტიდგან ამიერ კავკასიის სახალხო მატარებლები, სხვათა შორის, შეჩერდება კიდევ ორს ახლად გამართულს ბაქანზედ, საიდგანაც მგზავრებს შეეძლებათ წასვლა წამოსვლა. ერთი ბაქანი გამართულია ბორჯომის შტოს მე-20 ვერსტზედ და ეწოდება „კართანეთი", ხოლო მეორე ქვათურის შტოს მე 18 ვერსტზედ და სახელად ჰქვიან „ბელლევი". კართანეთის ბაქანთან შედგება შემდეგი მატარებლები №№ 5, 6, 36, 37, 38 და 39 და ბელლევის ბაქანთან-კი მატარებლები: № 49, 50, 51 და 52.

⁂ ინგლისის მთავრობას განუზრახავს ტფილისსა და ბაქოში ინგლისის საელჩოების დაარსება.

⁂ სოფ. ლიხაური, (გურია). 31 იანვარს აქ მობრძანდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელმაც მეორე დღეს (1 თებერვალს) სწირა აქაურ ღვთის-მშობლის ეკკლესიაში. ორ თებერვალს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ სწირა სოფ. ქაქუთის მაცხოვრის ეკკლესიაში და წირვის შემდეგ დაათვალიერა ამ სოფლის სამრევლო სკოლა, რომელშიაც ადგილობრივ მაჰმადიანთა შვილებიც სწავლობენ. გამოსცადა ბავშვები საღმრთო სჯულის ცოდნის მხრივ და დაჰპირდა როგორც სკოლას, აგრეთვე მასწავლებელს ბ-ნ რაჟდენ გონტრიძეს, რომლის მეცადინეობით დაარსებულა ეს სკოლა 8 წლის წინად და რომელსაც ამ დრომდე შეუნახავს იგი თავისის ხარჯით, შემწეობის აღმოჩენას. ქაქუთიდგან მისი ყოვლად უსამღვდელოესობა წაბრძანდა ს. ჭანიეთში, სადაც 3 თებერვალს სწირა ადგილობრივ ეკკლესიაში. ნასადილევს ყოვლად სამღვდელომ დაათვალიერა აჭის წმ. გიორგის ეკლესია და საღამოს ოზურგეთში წაბრძანდა.

ლიხაურის ეკკლესიის მრევლს თუმცა დიდი ხანია გარდაუწყვეტია აშენებანა დიდი ეკკლესია, მაგრამ ეს გარდაწყვეტილება ჯერაც ვერ განუხორციელებიათ. ამის მიზეზი ნივთიერი ხელმოკლეობაა. ეხლა-კი იმედია ეს საქმე განხორციელდება, რადგან მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე დაჰპირდა აქაურ საზოგადოებას, რომ ეკკლესიის აშენებას მე ვითავებო.

ახალ წლიდგან დაწყებული ამ უკანასკნელ დრომდე აქეთ ისეთი კარგი დარებია, რომ საზამთრო ტანისამოსის ტარება და სახლების გახურება არავის სჭირდება. ჩვენში თავი იჩინა ყვავილმა და ყელჩირქებამ და რამდენიმე ბავშვი კიდეც იმსხვერპლა. სენის წინააღმდეგ მთავრობამ უკვე იხმარა ჯეროვანი ღონისძიებანი.

⁂ 16 ამა თებერვალს, დილის 7 საათზედ, ტფილისში წყლის საზიდ ქუჩაზედ, თავისს სადგომში ჰპოვეს იატაკზედ დაცემული ცოცხალ-მკვდარი მიროშნიკოვი თავის ერთის კვირის ჯვარ დაწერილი ცოლით. 15 თებერვალს ღამე მიროშნიკოვი მოსულა სახლში და დანით რამდენსამე ალაგას დაუჭრია თავისი ცოლი. როდესაც ყმაწვილი ქალი იატაკზედ დაცემულა უგრძნობლად, მიროშნიკოვს თავისი თავიც ორს ადგილას დაუჭრია იმავე დანით; ამით რომ ვერ მოუკლავს თავი, ამოუღია ჯიბიდგან რევოლვერი და დაუკრავს სამს ალაგას—თავსა, მკერდსა და მკლავში. ეს ამბავი მეორე დილამდის ვერავის გაუგია. დაშავებულნი მიხეილის საავადმყოფოში გაუგზავნეს. ქმრის ჭრილობა უფრო საშიშოა, ვიდრე ცოლისა, თუმცა ცოლს ყელი და მკერდი მთლად გადაღადრული აქვს. მიზეზი მიროშნიკოვის ასეთის საქციელისა ჯერ არ იციან.

⁂ 15 თებერვალს რკინის გზის ლიანდაგის იქით, მსროლელთა ჯარის ყაზარმას უკან, ნაშუადღევს, ოთხს კინტოს საზიზღარი საქმე ჩაუდენიათ. აქ სასეირნოდ ყოფილან სამი ყმაწვილი ქალი იულია გ—ვი, ალექსანდრა გ—ვი და ტატიანა რ—ვი, რომელთაც თანა ხლებიათ ოთხი ყმაწვილი კაცი: სერგეი მუზიჩენკო, მიხეილ ხალათოვი და სხვანი. კინტოები თავს დასცემიან ამათ, ყმაწვილ კაცებისთვის უცემიათ და გაურეკიათ და უმწეოდ დარჩენილი ქალებისათვის-კი უპატიურება მიუყენებიათ. დამნაშავენი აღმოჩენილან—ვიდაც სანდრო ჭრელაშვილი, სანდრო მარიამიძე და ალექსანდრე ოქროპირიძე, რომელნიც პოლიციას უკვე დაუპატიმრებია, მეოთხე ბოროტ მოქმედი-კი—ვიღაცა კოტე (გვარი არ იციან) გაქცეულა და ჯერ ვერ უპოვნიათ. დამნაშავენი გამომძიებელს გარდაეცნენ.

⁂ უმაღლესად ნაბრძანებია 1, ტუაფსეს შემოსავალ-გასავლის კასსა გარდაქმნილ იქმნას ხაზინად და 2, დაწესდეს ყარსის ოლქის დაბა ყაგიზმანში ხაზინა 1900 წლის 1 ივლისიდგან.

⁂ იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულის სახელობის უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭოს ამ წლის იანვრის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია სულ 3,286 მან. 80 კაპ., ხოლო გასავალი იმავე თვეში 4,247 მან. თანხა ამ წლის 1 თებერვლისათვის დარჩენია 24,505 მან. 60 კაპ.

თვალის სამკურნალოში 615 ახალი ავადმყოფი მისულა.

## საქველ-მოქმედო კომიტეტის კრება.

15 თებერვალს გუბერნატორის სახლში მოხდა მეექვსე კრება ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების აღმოსაჩენად შემდგარი კომიტეტისა. წინა კრების ოქმების დამტკიცების შემდეგ კომიტეტს მოხსენდა, რომ 8 იანვრიდგან მარტო გუბერნატორს მიუღია შემოწირულება 25,592 მ. 20 კ., რადგან ამ კრებას არ დაესწრო ხაზინადარი კომიტეტისა ა. ი. მანთაშოვი, ამის გამო ცნობაში ვერ მოიყვანეს, სულ რამდენია შემოწირულება. დაახლოვებით კი შემოწირულება უნდა იყოს 180,000 მ. შემდეგ კრებისათვის დანამდვილებით იქმნება გამონაგარიშებული, რამდენი შემოვიდა შემოწირულება დღევანდლამდე.

ამავე კრებაზედ კომიტეტის წევრებს დაურიგდათ კვიტანციის წიგნები, სადაც ჩაიწერება კერძო შემოწირულებანი. წიგნები დაურიგდათ: ვიცე გუბერნატორს კ. კ. სტეფანოვიჩს, საგლეხო საკრებულოს წევრს ვ. გ. ვეიდენბაუმს, საგუბერნიო მკურნალს ტ. ს. ქიქოძეს, საგუბერნიო ინჟინერს კ. ც. ბუტკევიჩს, საერო სკოლების ინსპექტორს კ. ი. პეტროვოზნიკოვს, გუბერნატორის კანცელარიის გამგეს ვ. ა. უსაჩევს, ქალაქის მოურავს გ. გ. ევანგულოვს, „ტფ. ფურცლის" რედაქტორს ი. გ. ხეჩატუროვს და „მშაკის" რედაქტორს ა. ა. ქალანთარს.

ამას შემდეგ კომიტეტმა მოისმინა მოხსენება ინჟინერის ანტონოვისა, საგუბერნიო ბეითალის მაკაროვისა, საგუბერნიო ექიმის ქიქოძისა და ქალანთარისა. ამ მოხსენებიდგან გამოირკვა, რომ მუშაობა დანგრეულ სახლებში საშიშს აღარას წარმოადგენს, რადგან ინჟინერ ანტონოვს დაუნგრევია საშიში ადგილები, ასე რომ მუშებს თავისუფლად შეუძლიანთ ამოთხარონ მიწის ქვეშ დატანილი ქონება. ამოთხრილი საქონელიც სულ დაუწვავთ ნავთის გადასხმით. მკურნალებიც საკმარისადაა დაზარალებულ ადგილას. გადამდებ სენის გაჩენის ფიქრი არ არის, რადგან

---

ალებაში და თავიანთ საერთო-საზოგადო ალებ-მიცემობის მოგებაც (რომელსაც უცხო ერის ვაჭრები მილიონებად ნაქცევს მიარბენინებენ) თითონვე ჰრჩებოდეთ ყოველ-წლივ საერთოდ, და მაშინ უყურეთ ქვეყნის ბედის უკუღმა მოტრიალე ჩარხის წაღმა ტრიალს, სოკოს სისწრაფით სკოლების გამრავლებას, მეურნეობის ათასგვარად აყვავებას და მთელის ერის ქონება-გონებისა და ზნეობა-ძალ-ღონის საარაკო წარმატებას.

როგორც კერძოდ ყოველ თითოეულ ადამიანის, ისეც საზოგადოდ მთელის კაცობრიობის ყოველგვარ მონაგარსა და მონაღვაწს ბრძოლა არსებობისა გამუდმებით ამოძრავებს ცხოვრების უმთავრეს ლატარია-ალებ-მიცემობაში, და ვაი იმ ქვეყანას, რომელიც თავისის საკუთარ ალებ-მიცემობის უქონლობით სხვათა მოწველე ფურად გადაქცეულა. აი რას ამბობს ამისავე შესახებ ჩვენი პატივცემული პუბლიცისტი ბ-ნი ნ. ნიკოლაძე: „მრეწველობის უქონლობა, ცხადია, უდიდესი ნიშანია ქვეყნის ჩამოქვეითებისა და უკან ჩამორჩენისა. იმ ქვეყნის ბედში არავითარი ცვლილება არ მოჰხდება თვალ-საჩინო არც გონებრივი, არც საზოგადო, არც პოლიტიკურ მხრივ, სანამ ის მრეწველობის საშუალებით ეკონომიურ მონობისაგან არ დაიხსნის თავს უცხოეთის ხელიდგან. აიღეთ, რომელიც გსურდეთ, იმ ერის ისტორია, ყველგან ცხადად დაინახავთ, რომ მისი აღორძინება, მისი გონებრივი სიფხიზლე, მისი განვითარება ალებ-მიცემობის, მრეწველობის ზედ-დართული შედეგი და ნაყოფი ყოფილა". „ბრმა ან უმეცარია ის, ვინც ვერა ჰხედავს, რომ არავითარი ეკონომიური წარმატება,—პოლიტიკურს ვინღა ჩივის—არავითარი განვითარება და მდგომარეობის გაუმჯობესობა არ ეღირსება ჩვენს ხალხს და ქვეყანას", ჯერ ვიდრე ჩვენს ალებ-მიცემობას ჩვენვე არ მოვსჭიდებთ ხელს თავის საშველი ნივთიერ ღონისძიებას მოსაპოებლადო („მოამბე", № 8 და 9 1895 წ.). დიაღ, ამას ამბობს კაცი განსწავლული და ამასვე ამბობენ დღეს მთელის ქვეყნის სახელოვანნი ბრძენ-მეცნიერნი და საუკეთესო ჟურნალ-გაზეთები.

იყო დრო, როდესაც გარემორტყმული სპარს-ოსმალო-დაღისტანი თავიანთ ჯარ-ლაშქართა სიმრავლით საქართველოს აოხრებდნენ. იყო ის დროც, როდესაც ბატონ-ყმობა არა-ნაკლებ ჰღუპავდა ხალხსაც და ხშირად თვით ბატონებსაც, რომელიც მზა-მზარეული ცხოვრება უსაქმობა უფიქრელობას აჩვევდათ. მოატანა ახალმა დრომ თავისის საგმირო ფარ-ხმალით და „წავიდნენ, განქრნენ სიზმარებ ჩქარად" ის დრონიც პირისაგან ქვეყნისა, და დამყუდროვდა საქართველოშიაც „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება„... მაგრამ, უკაცრაოდ, ეს ხომ ზეზეური შეხედულებაა ცხოვრებისა, აბა, ღრმად ჩავიხედოთ გონების თვალით ზღვასავით მღელვარე ცხოვრების ფართო გულ-მკერდში და აი რას დავინახავთ იქ: უწინდელს დროში თუ ჩვენს პატარა ქვეყანას ჯიბე-კუჭ-ცარიელი ურჯულოთა უნგარიშო ჯარ-ლაშქარი იკლებდა და აოხრებდა, უწინდელს დროში თუ ბატონ-ყმობა არა-ნაკლებ სჩაგრავდა და ჰღუპავდა ხალხს, დღეს უფრო ათასჯერ მეტად იღუპებიან მთელის საქართველოს ნაყმევებიც და ნაბატონრებიც უცხო ჩარჩ-ვაჭარ-მოვახშეთა უწესრიგო ალებ-მიცემობისაგან. დიაღ, უწინდელს დროში თუ ათასში ერთხელ უანგარიშო მტერთა სიმრავლე აოხრებდა საქართველოს ცეცხლითა და მახვილით, დღეს ქვეყნის გასანადგურებლად მომართული ალებ-მიცემობა „ჩოტკითა" და „ვექსილით" ჰღუპავს და იკლებს ჩვენს ერს დღისით-მზისით, გულარხეინად და წლის წლობამდე ბოლო მოუღებლად, რის გამოც დღეს უფრო, მერწმუნეთ, მძლავრი, ადამიანთა წარმატების ყოველ-მხრივ გამათახსირებელი ბატონ-ყმობა არსებობს საქართველოში, რადგანაც ნაბატონრებიც და ნაყმევებიც—ყველანი ერთად რომის პაპსავით გაბატონებულ ჩარჩ-ვაჭარ-მოვახშეთა ყურ-მოჭრილი ყმა-მონები გამხდარან იმ ვერაგულ ალებ-მიცემობის ჯადობაზურ მანქანებით, რომელსაც თუ არა ერთობითი ძალა მედგრულის ბრძოლისა, კერძო, თითოეული ღონე ვერ დაამარცხებს ვერასოდეს შორით-შორამდე ღრმად ფესვებ გამდგარს ჩვენს ცხოვრებაში.

მიბრძანეთ ღვთის გულისათვის, რომელ ურჯულოს შეთოფიარაღებული, მოსისხლე ჯარ-ლაშქარი და ადამიანთა დამჩაგრავი ბატონ-ყმობა აოხრებდა საქართველოს ისე უწყალოდ, დღეს რომ უთოფ-იარაღო ვაჭარ-მოვახშეთა ქვეყნის გასანადგურებლად მომართული ალებ-მიცემობა ქუდიანს და უქუდოს, ბრალიანს და უბრალოს—ყველას ერთად მუსრს გვავლებს და ვეშაპსავით გამძვინვარებული თავის უძირო მუცელში შთანთქმასაც გვპირებს ჩვენის მიწა-წყლითა და სახლ-კარით!.. ყოველივე ეს მზესავით ცხადზედ უცხადესი ჭეშმარიტებაა ყველასათვის, და, მაშასადამე, მარტოოდენ ეს-ღა დაგვრჩენია—ყველამ ერთხმად შევძახოთ ბურანში წასულს ქვეყანას: ხალხო და ჯამაათო! თითონ უმაღლესმა მთავრობამ მოგვაჩეჩა ხელში საალებ-მიცემო წესდებანი და გვითხრა: აჰა, ეს სამოქმედო წესდებანი და ნულარ ეჭმევინებით სხვებს, თქვე დაუდევნელნო, თქვე უთაურნო და უსაქმურნო, აჰა, ეხლა მაინც შეადგინეთ სხვა და სხვა ამხანაგობათა კოოპერატიული დას-რაზმები და ნულარ გაატანთ ვაჭარ-ჩარჩებს იმ თქვენის ოფლით ნაწვავ-ნადაგ ჰირნახულის მოგებათა მილიონებს, რომელთა წყალობით სკოლებსაც ადვილად დაიარსებთ, მეურნეობასაც ჩინებულად გაიუმჯობესებთ, გაჯოჯოხეთებულ ყოფა-ცხოვრებასაც გულ-სალხენად გაიკარგებთ და სხვა ათასგვარ კეთილ საქმესაც მოიმოქმედებთო.

მართლაც-და, ნუ თუ არ გვეღირსება ეხლა მაინც გავიღვიძოთ და საუკუნოთ მოვიგდებინოთ თავიდამ ის თვლემა და ძილი, რომლის შესახებაც ჩვენი სავალალო ყოფა-მდგომარეობის ჭირისუფალი პოეტი აგერ ორმოცი წელიწადია სასო-წარკვეთილების გულ-მდუღარებით ჰგოდებს და მოსთქვამს თვალ-ცრემლიანი: „ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება?!.

მართალია, ჩვენს დასაღუპავად მოწყობილ ალებ-მიცემობასთან გასამკლავებლად არც ისეთი დიდი ნივთიერი ძალა შეგვწევს და სავაჭრო ცოდნა-მეცნიერებაში დახელოვნებულნი კაცნიც მცირედ მოგვეპოვებიან, მაგრამ არც ამას უნდა შეუშინდეთ გულ-გატეხით, რადგანაც არც ერთი ცოდნა რისამე პრაქტიკული თუ თეორიული დედის მუცლიდგან არავის დაჰყოლია. საქმის დაწყება თვით საქმის მცოდნეთაც გაგვიმრავლებს თან-და-თან, და მეორეც ეს, „ერთი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია",—უთქვამს დიდებულს რუსთაველს. ქართველს რომ ჭკუა ჰქონდეს, ვაჭარი მშიერი მოკვდებოდაო,—ნათქვამია ძველთაგანვე და დროა ეხლა მაინც მოვიდეთ ჭკუაზედ, რომ ჩვენც აგვიცხადდეს ძველი თქმულება: „წინანი უკან, უკანანი წინო".

ყველგანმყოფი

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ორიოდ სამი შემთხვევა იყო სოფლისა და მალე მიღებულ ღონისძიების წყალობით ავადმყოფნი რჩებიანო. სოფლით გახდნენ აგრეთვე ავად მკურნალი აგარანოვი და ფერშალი ზახლოვი. ამათი მორჩენის იმედიცაა, რადგან ავადმყოფებს მშვენივრად უვლის სამხედრო მკურნალი კაბაკოვი. რადგან ამ დღეებში უკვე წასულა ბარალეთს ახლად დანიშნული მკურნალი გომართელი, ეხლა მკურნალების მხრივაც ნაკლულევანება არ არის.

ქალანთარის გამოანგარიშებით დაზარალებულ გლეხებს სათესლედ დასჭირდებათ 36,000 მანეთის ხორბალი და ქერი, 30,000 მან. საქონელი და 120,000 მანეთიც სახლების ასაშენებლად. მაშასადამე, სულ მოუნდებათ 186,000 მან. კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ სათესლედ ხორბალი იყიდოს ყარსის ოლქში და ერევნის გუბერნიაში.

კომიტეტმა საჭიროდ დაინახა ავადმყოფ მკურნალ აგარონოვს აძლიოს ჯამაგირი და შემწეობა აღმოუჩინოს ფერშალს შიუკაშვილს. კონდუქტორებს-კი, რომელნიც ინჟენერ ანტონოვის მინდობილობით სახლებს ანგრევდნენ, მისცეს ჯილდოდ თითოს ორ-ორი თუმანი.

კომიტეტის შემდეგი კრება იქნება 24 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ.

## კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება

15 თებერვალი

სამშაბათს, 15 თებერვალს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში შესდგა საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც უნდა განეხილათ საკითხი აბრეშუმის თესლის სავალდებულო მეთვალყურეობის შემოღების შესახებ. ეს საღამო სულ ამ საქნის გამორკვევა-განხილვას მოუნდა. წარმოითქვა ბევრი სხვა-და-სხვა მოსაზრება, რომლითაც ზოგნი წინააღმდეგნი იყვნენ სავალდებულო მეთვალყურეობის შემოღებისა და უარს ჰყოფდნენ ეხლანდელს წესს აბრეშუმის თესლის შემოწმებისას, — უმრავლესობა-კი საჭიროდ სცნობდა მხოლოდ სავალდებულო მეთვალყურეობის შემოღებას იმ მოსაზრებით, რომ ჩვენში ის უმრავლესობა, რომელიც აბრეშუმის თესლს ჰყიდულობს, გაუნათლებელია და არ შეუძლიან შეიტყოს დანამდვილებით თესლის ღირსება, ასე რომ ბედზედ დამყარებული უმრავლესობა გაუსინჯავ-შეუმოწმებელ თესლის ყიდვით შესაძლებელია დიდს ზარალში ჩავარდეს, რაც ნელ-ნელა ძირს გამოუთხრის კავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეს. საზოგადოების მდივანმა ე. ო. იოსელიანმა კრებას ახალი პროექტი წარუდგინა, რომლის შემოღება ჩვენში თავისდათავად უსარგებლოდ ჰყოფს თესლისათვის მეთვალყურეობის დაწესებას და დიდად ხელს უწყობს, რომ მეაბრეშუმეობამ უფრო ფეხი მოიდგას, არ გადავიდეს განსაკუთრებულ ვაჭართა ხელში ისე, როგორც ბევრი სხვა დარგი სასოფლო-მეურნეობისა გადასულა, და დარჩეს იმ ღარიბ უმრავლესობას, რომელთა შორის თან და თან ვრცელდება ეს დიდად სასარგებლო დარგი მრეწველობისა. კრებაზედ წარმოსთქვეს თავისი მოსაზრებანი იქ დამსწრე გარეშე მეაბრეშუმე-მეთესლეთაც, რომელნიც საჭიროდ სცნობდნენ სავალდებულო მეთვალყურეობის შემოღებას, რომ მეტი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული ადგილობრივად თესლის მოყვანა-შემუშავების საქმესაო. კრებამ ბევრის კამათის შემდეგ დაადგინა: საჭიროდ იქმნას ცნობილი კავკასიაში აბრეშუმის თესლზედ სავალდებულო მეთვალ-ყურეობის დაწესება და მიენდოს ეს საქმე კომისიას, რომელმაც ამ საქმის შესახებ თავისი შემუშავებულ-დასაბუთებული მოხსენება უნდა წარუდგინოს საზოგადოებას. ამ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ საზოგადოების მდივანი ბ-ნი იოსელიანი, ბ-ნი ალიბეგოვი, ზავაროვი და ა. ბ. ევანგულოვი.

## წერილი კახეთიდგან.

(თელავის მაზრა)

მოგეხსენებათ, კახელები არ არიან აღებ-მიცემობისა, მრეწველობისა ანუ სხვა რამ დიდის საქმის ხალხი, ესენი დღიური მუშები არიან საკუთარის ოჯახისა და ამათს ავლადიდებას შეადგენს თითო-ოროლი დღის სახნავ-სათესი მიწა და თითო დღის თუ ცოტა მეტ ნაკლების ვენახი. აი ამათ შეჰყურებს კახელი კაცი წლითი-წლობამდე და ამათ მოსავალზედაც არის დამოკიდებული მისი ბედი და უბედობა.

ნათქვამია: „ნუ დაიკვეხებ, მამულო, ყანა ამინდის შვილიაო!“ ამ ანდაზას სრულ ჭეშმარიტებად ვერ მივიღებთ, ხოლო აქედგან ნათლად შეგვიძლიან იმის გაგება, რომ ამინდს მიწის მოსავლის საქმეში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ყველა მიწის მუშა, ყველა მეურნე ამინდს — დარსა და უდარობას — გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს, მის შეცვლა-შეუცვლელობაზედ აქვს სჯა-ბაასი მუდამ, და ჩვენც, პროვინციის ამბების ქვეყნად გამომფენთ, როცა რომელიმე მხრის მოსავალზედ ვსაუბრობთ, არ შეიძლება, თუ წარსულ ან მდგომარე ამინდებს არ მივაქციოთ ყურადღება. წარსული წლის გაზაფხული ერთი თვით ადრე დადგა. გვიხაროდა, ზამთარს ერთი თვით ადრე მოვშორდითო და ადრეული გაზაფხული და ზაფხული სიკეთეს რასმეს მოგვიტანსო. მაგრამ ჩვენი სიხარული სინანულად დამთავრდა, როცა იმედი აღარ გაგვიმართლდა. პირველმა გაზაფხულმა პურის მოსავალს კარგი პირი მისცა: ფეხადაც კარგი იყო და თავთავიც კარგი უჩანდა, მაგრამ როცა მკასა და ლეწვას შეუდგენ, სრულიად ის აღარ იყო, რაც ეგონათ. გამოსავალი ძალიან ნაკლები აღმოჩნდა, მეტადრე ანეულისა. ამას მოჰყვა სიმიდისა და ფეტვის მოუსავლობა, რომელიც შედეგი იყო საშინელის გვალვისა და სიცხისა. ამას მიუმატოთ სეტყვისაგან განადგურებულ სოფლების მოუსავლობა და გამოვა, რომ წარსულ წელს კახეთში პურის მოსავალი ძალიან ნაკლები იყო, რის გამოც კოდი პური 4 მანეთად ჰფასობს. ამაზე მეტი სიძვირეც მოსალოდნელი იყო, თელავის ბაზარში რომ სხვაგნიდგან მოტანილი ფქვილი არ იყოს.

პურის მოსავლის ნაკლებულობას მაისის საშინელ ქარებს აბრალებდნენ. ამ დროს პური ყვავილში იყო შესული და ეს ყვავილი ქარმა გაუბერტყა, ამიტომ პური ვეღარ აღლოვო. რამდენად მართალია ეს დასკვნა, ამისა რა მოგახსენოთ, ხოლო იმის თქმა-კი ჭეშმარიტად შემიძლიან, რომ მაშინდელმა ქარმა ვენახს დიდი ზარალი მისცა. ვაზს ნორჩი რქა ერთ ალაბზედ ჰქონდა გაზრდილი. ძლიერმა ქარმა სამამულე და თამამი რქა წმინდად დაახლიჩა და, რასაკვირველია, თამამ რქას მრავალი თამამი მტევანიც თან გააყოლა. ამისდა მიუხედავად, ვენახის მოსავალი მაინც არ იყო ურიგო, ყურძენი ადრე დამწიფდა და ღვინოებიც უკეთესის ღირსებისა დადგა.

მესამე დარგს მეურნეობისას, საიდამაც კახელი კაცი ცოტაოდენ ფულსა ჰშოულობს, შეადგენს აბრეშუმის მოყვანა. როგორც წინა წლებში, აბრეშუმის მოსავალი წასულ წელსაც კარგი იყო, ზოგიერთ ჩარჩს რომ სნეული თესლი არ დაერიგებინა და ამით ზარალი არ მიეცათ ბევრის სოფლელისათვის. პარკიც უფრო პირიანად იყიდებოდა სხვა წლებთან შედარებით. სადაც პარკი მოეწონებოდათ, 16 მ. აძლევდნენ ფუთში. ერთის წლის ხმელ პარკში, თუ ვისმე ჰქონდა შენახული, 40 მ. აძლევდნენ ფუთში. მაგრამ ეს ფასები მგონია, იმათ დასაჩუმებელი იყო, ვისაც მაზანდაზედ რამე გავლენა ექმნებოდა, დანარჩენთ კი, ღმერთმა უწყის, რა ფასს აძლევდნენ და ან როგორი საწყაოთი უწყავდნენ!

მეორე მწერი, ადამიანისათვის სასარგებლო, არის ფუტკარი. ფუტკარის მოვლა-მოშენებას ძალიან მცირედ მისდევენ კახელები. მაგრამ როგორ იქმნება, რომ საახალწლოდ ყველა კახელმა თაფლიანი თითი მაინც არ გაილოკოს, თუ გოზინაყს დასცდა როგორმე. და ეს ამოდენა სატკბილობელი სულ კახეთში გროვდება და აქედამ ტფილისშიაც-კი ჩააქვთ. ფუტკარი, როგორც აბრეშუმის ჭია, ალაზნის მარცხენა მხარეს უფრო ჰხეირობს. ამისი მიზეზი წყლის სიუხვეა, რის შედეგიც მცენარეთა მუდმივი სინედლე და ყვავილობაა. წასულ წელს ფუტკარმა ბლარტი ნაკლებად გამოუშვა, სამაგიეროდ თაფლი ბლომად შეინახა. ფუთი თაფლი ჰფასობდა 5 მანეთად.

ამ ჟამად კახეთში თოვლია, რომელიც დეკემბრის პირველ რიცხვებიდგან დაწყებული მთელის თვის განმავლობაში მოდიოდა დრო და დრო. პირველ ხანებში ყინვებმაც ძალიან შეაწუხა ხალხი, ახლა-კი სიცივე ჩავარდა და თბილი ამინდები სდგას.

ფშაველიშვილი

## წერილი ქვედა აჭარიდგან.

ჩვენში ზამთარი ზაფხულად არის გადაქცეული. იანვრის დამდეგს ცოტა თოვლი მოვიდა, მაგრამ მალე აშრა; დღეს მაღალ მთებზედაც აღარ არის. ისე კარგი ტაროსებია, მაისის თვის ამინდებს ჰგავს; თბილი ქარი ჰქრის და გზები გამშრალია; ხეხილები უგავილებს იღებს. თოვლი წამლად რომ ეძებოთ სოფლებში, ვეღარ ჰნახავთ, მუშა კაცის ამინდებია, ყანის თოხნა და ლობიების კეთება დაიწყეს ჩვენში. ზოგიერთი მკელი კაცები ამბობენ, რომ ამნაირი ზამთარი არ გვინახავსო. მრიელ შიშობენ, წრეულს სიმინდის მოსავალი ნაკლები არ იყოს.

ამას წინად სოფელ მაჭახლის პირს ერთი უბედურება მოხდა ასლან ბეგ აფხაზის შვილის სახლში: რძალს ახალგაზდა მაზლი შეჰყვარებია თურმე: ბიჭი თავისს ოჯახში მმანარე ყოფილიყო, იმ დროს ქალი მისულა ახალგაზდა მაზლთან. ამ ამბავს ქმარი ასლან ბეგი მეორე ოთახიდგან ჩუმად უყურებდა თურმე. უწინაც ცოტა ეჭვი ჰქონოდა. ნახა, რომ ცოლი მმის ლოგინში ჩაწვა, მაგრამ ახალგაზდა ბიჭი არ დათანხმდა ქალს. იმ დროს ასლან ბეგს ცოლისთვის მეორე ოთახიდგან დაუძახნია: მოდი, წყალი მასვიო. ქალს შიშის ზარი თავს დასხმია, მისულა, წყალი ვეღარ მიუტანია. აგრეთ თურმე ქმარს ხელში ხანჯალი და სანთელი ქალისთვის შემოუკრავს კისერში. ნახევარზე მეტი მოუჭრია კისერი, მეორე ორივე ხელი დაუჭრია. ქალი დაკარდნილა მაშინ. ასლან ბეგს ჰგონებია უსულო არისო და თავი დაუნებებია. იმ დღესვე გაპარდნილა სახლიდგან და დღესაც არავინ იცის, სად არის ასლან ბეგი. ქალი მძიმედ არის დაჭრილი. მორჩება თუ არა, არავინ იცის.

აჭარლები დიდს მწუხარებაში არიან. ქვეყანაში რაც უბედურება და სიღარიბე არის, ყველას აჭარაში მოუყრია თავი. შვილი მამას ჰკლავს, ძმა ძმას. ამ უბედურების მოსპობას ვეღარ ვეღირსეთ. რამდენი ფირმანი ჩამოარჩევს მთავრობის ბრძანებით, მაგრამ ავკაცობამ თუ არ იმატა, თორემ არ უკლია. სოფელ აგარაში შვილმა მამა მოჰკლა და დამნაშავე საპყრობილეშია; თებერვლის პირველს სოფელ დანდალოში ერთი არმინი მიწისათვის ძმამ ძმა მოჰკლა. ეს ყველაფერი ჩვენის ხალხის ბრალია, მაგრამ ეს უბედურება უსწავლელობისაგან უნდა წარმოსდგებოდეს.

ჩვენი უფროსი ბ-ნი ვასარენსკი იანვრის დამდეგს გადაყვანილ იქმნა ახალ დარაჯთა უფროსად და მაშინვე წავიდა.

აბდულ-ეფენდი მიქელაძე

## დამაკვირდი

სულელს ნუ შეეკამათები: უეჭველად დამარცხებული იქნები მისის მძლავრის იარაღით — სისულელით!..

ს. ყ—ნი

***

კაცი უსწრაფო და კაცი უდები სასწორსა ზედა ერთ-წონა არიან.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ცრუ-მორწმუნეობასა და სარწმუნოებრივ ფანატიკოსობას ისეთ განათლებულ და კულტურულ სახელმწიფოებშიაც კი არ მოუღებია ჯერ ბოლო, როგორიც საფრანგეთი, გერმანია და ჰოლანდია არიან. აი ამას წინად ჰოლანდიის სოფელ აპპელტერში რა ამბავი მომხდარა. ამ სოფელში ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე სალოცავად ერთ გვარი მწვალებელნი, ეგრედ წოდებულნი პიეტისტები. ერთი ასეთი კრება, სხვათა შორის, 2 თებერვალსაც მომხდარა. კრების დროს რამდენსამე კაცს გამოუცხადებია, რომ ამ ჩვენ სალოცავ სახლს ეშმაკი შემოეჩვია, ეს ეშმაკი ბრინკმანის, ხელობით მუშის, გვამშია დაბინავებულიო. ამ დროს ბრინკმანს სძინებია თურმე. სახლის პატრონი გლეხი შერფი შესულა საწოლ ოთახში, გაუღვიძებია ბრინკმანი და ძალად გამოუყვანია იმ ოთახში, სადაც პიეტისტები ყოფილან შეკრებილი. შემდეგ ორი სამი ამ უკანასკნელთაგანი შელოცვას შესდგომია. მუშა იდგა თურმე შუა ოთახში და გაკვირვებული იღიმებოდა, რა დამართნია ამ ხალხსაო. მაგრამ ამ დროს ერთ მლოცველს უკანიდგან რკინის ჯოხი დაურტყამს თავში ბრინკმანისათვის და იქვე წაუქცევია. შემდეგ წაქცეულ გვამს მივარდნიან ყველანი და დაუწყვიათ ცემა. მეორე დღეს პიეტისტებს შერფისთვის სადილი გაუმართავთ, რომელზედაც ფსალმუნებსა მღეროდნენ თურმე. მალე პოლიციასაც გაუგია ყველაფერი და დამნაშავენი დაუპატიმრებია. ჩვენების ჩამორთმევის დროს ერთს ბრალდებულს გამოუცხადებია, რომ დაპატიმრებამ შემიშალა ხელი, თორემ ერთ ჩემს „შვილს მსხვერპლად შეწირვას უპირებდი ყოვლად შემძლებელ ღმერთსა“-ო.

უფრო საკვირველ ამბავს იუწყება ჰოლანდიურივე გაზეთი „Alg. Handel“-ი. ეს ამბავი სოფელ გელდერში მომხდარა. ამ სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა ერთ სექტას ეკუთვნოდა. ერთ დღეს სექტანტებს გადაუწყვეტიათ, რომ ღმერთს მსხვერპლი უნდა შევსწიროთო. მეორე დღეს ვინმე შერერთან, გლეხთან, ორი ახალ გაზდა ქალი მისულა. ცოტა ხნის ლოცვის შემდეგ ქალები ფსალმუნის გალობას შესდგომიან. ამავე დროს შერერს თავისს ახალგაზდა მოსამსახურისთვის დაუძახნია, იქვე ოთახში წაუქცევია, ხელ-ფეხი შეუკრავს და შემდეგ თავი და ხელები მოუჭრია. მოკლულის სისხლში შერერს, იმის ცოლს, შვილებს და მგალობელ ქალებს ხელები დაუბანიათ. პოლიციას მალე ეს ამბავიც გაუგია და ყველა დამნაშავენი დაუპატიმრებია.

***

შემდეგს ამბავს გადმოგვცემენ ინგლისური გაზეთები. ამას წინად „Cristae“ სასახლეში კონცერტი გაუმართავთ. იმ დარბაზის გვერდზედ, სადაც კონცერტი გაიმართა, სხვა დარბაზებიც არის, რომლებშიაც ვინმე სანდჟერი სხვა-და-სხვა მხეცებს აჩვენებდა საზოგადოებას. კონცერტის დროს, მახლობელ ოთახებიდგან აქლემებისა და სპილოების ღრიალი მოისმა. ცოტა ხანს უკან კარი გადმოინგრა და დარბაზში უზარ-მაზარმა სპილომ შემოჰყო თავი. შეშინებული ხალხი გარედ გავარდნილა. სპილომ-კი გზა განაგრძო და სკამების და სხვა ავეჯეულობის ლაწა-ლუწით მთელი დარბაზი გაიარა, შემდეგ ბუფეტში მიმავალ კარებთან მისულა, გაუნტვრევია თავისის ძლიერის ხორთუმით კარებიც და ამაყად ბუფეტში შესულა. სპილო გაბრაზებული ყოფილა, ამიტომ რაც კი დაუნახავს, ყველაფერი მიულეწ-მოულეწნია. ბუფეტში ბოთლები, ჭიქები, სკამები და სტოლები სულ მტვრათ უქცევია. მიზეზი სპილოს ასეთის გაბრაზებისა ვერ გაუგიათ. სანდჟერს ორი სპილო ჰყავს. ამ დღეს ორნივე დილიდგანვე რაღაც სხვანაირ გუნებაზედ ყოფილან. საღამო ხანს სპილოებს აქლემებისათვის ჩხუბი აუტეხნიათ. გასაშველებლად ორი მსახური მივარდნილა, მაგრამ სპილოს თავის ხორთუმით ერთი კედელზედ მიუნარცხებია და საიქიოს გაუსტუმრებია, მეორე-კი გაქცეულა. შემდეგ სპილო საკონცერტო დარბაზში შესულა. როდესაც სპილოს ბუფეტისთვის ანდერძი აუგია, ბაღში შესულა და ახლა იქ შესდგომია ხეების გლეჯასა და მტვრევას. მალე დირექტორი და მუშები დასდევნებიან სპილოს, ბაღიდგან უკანვე სადგომში შეუგდიათ და იქ მოუკლავთ. ამავე დროს მეორე სპილოს, რომელიც აგრეთვე ბაღში გასულა, გაუმტვრევია მაგარი ღობე და გზაში გავარდნილა. გაგზავნილმა კაცებმა ვერას გზით ვერ შეაჩერეს თურმე. სპილო ქალაქიდგან გასულა და მინდორში დაუწყია ხეტიალი. ბოლოს, როგორც იქმნა, უკანვე დაუბრუნებიათ.

## კაცის გაყიდვა 1762 წელს და ნიხრები მე-XVIII საუკუნისა

(დასასრული *)

ყმის გაყიდვის სიგელი დაწერილა ქორონიკონს უნ-ს მარტის ა.ს (იხ. ზემოდ). ეს ქორონიკონი უდრის 1762 წელს. ამ წელს შიმშილობისა გამო შვილი გასასყიდად გაუმეტნიათ, ხოლო ათის წლის შემდეგ საქართველოში დიდი უხვობა ყოფილა. აი ამის საბუთი. საქართველოს დედა ქალაქს ტფილისში 1772 წელს დიდი სიიაფე იყო სანოვაგისა.

ნიხრი 1772 წლისა: *)

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათმანი (1/2 ფუთი) | პური | 8 | კაპიკი |
| „ „ | ძროხის ხორცი | 25 | „ |
| „ „ | ცხვრის ხორცი | 30 | „ |
| „ „ | ყველი | 20 | „ |
| „ „ | ბრინჯი | 20 | „ |
| „ „ | ერბო | 80 | „ |

*) იხ. „ივერია“ № 36.

*) ბუტკოვი, 1, გვ. 290.

აქვე ჩავურთავ ნიხრს 1783 წლისას და 1808 წლისას.

1783 წ. ივნისის თვეში ლიტრა ფქვილი იყიდებოდა ტფილისში: ხორბლისა 10 კაპ., ქერისა 9 კაპ., ფეტვისა 5 კაპ. და ბრინჯისა 5 კაპ.

ნიხრი, შედგენილი გურიელის მამიას მიერ და დამტკიცებული იმერეთის მეფის სოლომონისაგან 25 ივლისს 1808 წელს:

საწყავი (5 დოქი) კარგი ღვინო 1 რუბ.
ბათმანი ზეთი 1 რუბ.
ქილა ქერი 15 ფარა.
ბათმანი ღომი 15 ფარა.
ნასუქი დიდი ხარი 20 მარჩილი.
შესახამი ხარი 12 მარჩილი.
ნასუქი ჯორი 1 ფრული.
თოხლი 2 ყურუში. **)
ბატკანი 1 ყურუში.
თხა (ვაცი) 1 ფრული.
ტახი 10 რუბ.
გოჭი 1 რუბ.
ოცი ერბო 1 ყურუში.
გუდა ზეჭიკელი 1 რუბ.
ნარეკი ფიწხული 1 რუბ.
ქეჯერი (30 კოჯიანი) 4 ყურუში.
„ (15 კოჯიანი) 2 ყურუში.
ორი ახალზური ბეწვი 2 ფარა.
ოცი (3 გირ.): ძროხის ხორცი 5 კაპ.
„ „ ხბოს ხორცი 5 „
„ „ თხის ხორცი 5 „
„ „ ღორის ხორცი 5 „
ჩარექი ხიზილალა 1 რუბ.
კარგი ლაზა 1 რუბ.
ბათმანი ხახვი 6 ფარა.
კარგი სახნისი 5 რუბ.
დიდი ცული 5 რუბ.
წალდი 1 რუბ.
ბათმანი განხეში 1 მარჩილი.
კარგი ტილო 1 ყურუში.
მჭადი ტილო 2 რუბ. და 20 ფარა.
ბადე 1 რუბ.
„ პატარა 6 ფარა.
ხალიჩა 1 რუბ.
ხელსახოცი 1 შაური.
ბათმანი ბაქაზის მძაფი 1 რუბ.
ქილა ნიგოზი 6 ფარა.
წინდები 10 ფარა.
ცხრა მსხალი 1 ფარა.
დოქი არაყი 8—6 ფარა.
გაქრიდა წმინდა ღვინო 1 რუბ.
ოცი რკინა 20 ფარა.
ერთი ქვაბ რკინა 1 ყურუში.

ეს ნიხრი ჩავურთავ დ. ბაქრაძის თავის თხზულებაში „Гурія и Аджара“.

აქვე ჩავურთავ ორს ბარათს, რომლებშიაც აღნიშნულია ფასი ურმისა 1711 წელს და სხვა და სხვა ნივთეულობისა, რკინისა, ტყავ-წამლისა 1794 წელს.

ქ. ჩვენ *) [illegible] ... კანოზი; ეტატე მღდელი. ნინიკაშვილი იორამ. მერუვე პეტრე. დაიწერა ეს წიგნი თვესა დეკემბერს: ზ: ქკს ტყთ (=1711 (ბეჭედი): მონა ღუთისა სამთავრელ ეფისკოპოზი იოსებ.

ქორონიკონს უპბ ***) ივლისს ივ.

**) მარჩილი ძველი 60 კაპ. და ახალი 40 ფარა; ყურუში 40 ფარაა; რუბი 10 ფარაა ანუ პიასტრის (6 კაპ.) მეოთხედი (იხ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი).

*) ეკლ. მუზ. № 747.

**) ერთი კახური ურემი (და ისიც მაზინდელი) უდრის ეხლანდელს ორს ტფილისურს მაინც. მაშასადამე, 1711 წელს ურემი შეშა მოჭრითა, ჩამოტანითა და კარზედ მოტანით ღირებულა 10—20 კაპიკი.

***) 1794 წ.

კვირას დღეს შილდეს თავადთა, მოხელეთა და გლეხთან მენოქებების სავაჭრო ასე გარიგდა:

ხამი ოთხბაზ უზალთენი
სამკარანგე ოთხი აბაზი
საკაპე ქვევი აბაზი
წითელი ლაპიანი ხუთი აბაზი
შვარე შილა აბაზი
აღლის ჩითი აბაზი
ლოლბაბანი ერთი თავი სამი აბაზი
ადლი განმის ხელსახოცი ჩითის ათი შაური
რკინა ლიტრა ათი შაური
ტყავი სტილი შაურ ნახევარი
წამლის სტილი აბაზი
მარილი ლიტრა სამი შაური.

ჩანს, ჩვენს წინაპრებსაც სცოდნიათ ყადრი კანონისა და კანონიერებისა და სრულიადაც არა ყოფილან მტაცებლები, როგორც ამტკიცებს ქიშმიშოვი და სხვანი მისნი მიმდევარნი!

მ. ჯანაშვილი

### გამოსადეგი ცნობა

თუ გინდათ შეიტყოთ რძე წყალნარევია თუ არა, წინდის წვერი ჩაასველეთ შიგ და თუ წვერს წვეთმა ერთი წვეთი მაინც შეირჩინა ზედ, რძე წყალ-ურეველი ყოფილა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 თებერვალი

**ლონდონი.** ლორდი რობერტსი ოფიციალურად იუწყება პაარდებერგიდგან 15 თებერვალს დილის 7 ს. 45 წ., რომ დღეს განთიადისას კრონიე დამორჩილდა მთელი თავისი ჯარითა. „ის ამ ჟამად ტყვედ იმყოფება ჩემს ბანაკში. იმას ჯარის როდენობას შემდეგ გაცნობებთ. მე იმედი მაქვს, რომ მისიუდიდებულესობის მთავრობა საკმარისად ჩათვლის ამ ამბავს, რომელიც დღეს მაჯუბის ბრძოლის წლის თავზეო“.

„Daily News“-ს აცნობებენ ლორენცო-მარკეზიდგან 11 თებერვალს, რომ, როგორც იუწყებიან, 5000 ბური ლედისმიტიდგან ორანჟის რესპუბლიკისაკენ წავიდაო. ბურებს აზრად აქვთ ბლემფონტენიდგან 30 მილის სიშორეზედ გამაგრდნენო.

„Morning Post“-ს ატყობინებენ კოლენზოს ქემპო ბანაკიდგან 13 თებერვალს, რომ რაიდგან 9 და 10 თებერვალს მომხდარ ბრძოლის გამო ბრიტანიის ჯარი დარჩა დაბალ სერებზე ტუგელს გაღმა, ბულლერის 11 თებერვალს აღარ გაუწევია სერების მეორე წყებისაკენ, რომელიც პიტერის მახლობლად სიმაგრის ნაწილს შეადგენს. რამდენჯერმე იერიშით მისვლის შემდეგ, ინგლისელებმა, დაჰკარგესრა მრავალი ოფიცერი და სალდათი, დარწმუნდნენ, რომ ვერ გავიმარჯვებთო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკვე დაჭერილს ადგილას დარჩნენ, მაშველი ჯარი იქმნა გაგზავნილი, რომელსაც ხელი უნდა მოემართა იერიშით მიმავალი ბრიტანიის მხედრობისათვის, მაგრამ სანამ ჯარი საერთოდ იერიშს მიიტანდა, უკვე საღამომ მოატანაო.

**პარიჟი.** სახალხენო სამინისტროში აცხადებენ, რომ არავითარი ამბავი არ მიგვიღია ტაფილეში ჯარის ჩაყენების შესახებ, რასაც ერთი ინგლისური გაზეთი იუწყებოდაო.

გალიფე, რომელიც ფილტვების ანთებით იყო ავად, ცოტა უკეთ არის

16 თებერვალი

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება, რომ ტყვე ბურები სულ 4,000 აღმოჩნდა, მათ შორის 1,150 ორანჟელია, დანარჩენნი ტრანსვაალელნი არიან. ოფიცრებს შორის 29 ტრანსვაალელია და 18 ორანჟიელი იმ ზარბაზნებიდგან, რომელიც ინგლისელებმა წაართვეს, 14 ტრანსვაალისაა და ორი ორანჟების. კრონიე კაპშტადტში იქმნა გაგზავნილი.

სამხედრო მამინისტრომ გამოაცხადა, რომ პაარდებერგთან მომხდარ ბრძოლაში 740 კაცი დაიჭრაო. შემდეგ გამოქვეყნებულ იქმნა დამატებით სია დაჭრილთა. ამ სიით ექვსი კაცი მეტია დაჭრილი.

საზოგადოებათა პალატა. კრების დროს მინისტრის ამხანაგმა უინდგემმა წაიკითხა რობერტსის დეპეშა კრონიეს დამორჩილების შესახებ, რასაც დეპუტატები ტაშის ცემით მიეგებნენ. უილიამ რედმონდმა, ირლანდიელმა, ამ დროს წამოიძახა: „სამი ათასი ბური ტყვედ წაიყვანა ორმოცი ათასმა ინგლისელმა. აი, ბრწყინვალე გამარჯვებაც ასეთი უნდა!“ (სიცილი).

**სტერკსპრუიტი.** როგორც აქ მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ლედი გრეიში ბურები ვერ არიან კარგ მდგომარეობაში: გენერალმა ბრაბანტმა დაიჭირა ჯემსტუანი და წაართვა ბურებს ცხენები. რობერტსი შემდეგს იუწყება პაადერბერგიდგან: „მზვერავების მიერ მოტანილ ცნობებით, დილის 11 საათზე აღმოჩნდა, რომ კრონიეს ჯარი თან და თან უფრო ეცემოდა სულით და უკმაყოფილება ჯარის კაცთა და უთანხმოება უფროსთა შორის მატულობდა და, ცხადი იყო, ასეთი მდგომარეობა გამოიწვია ბურების ჯარის დამარცხებამ, რომელიც კრონიეს საშველად მიდიოდა. ამის გამო 11 თებერვალს გარდავსწყვიტეთ უფრო შევვიწროებინა მტერი. ღამით ჩვენი ჯარი მიუახლოვდა მტრის ბანაკს ხოლო ამ დროსვე ბრიტანიის არტილერია განუწყვეტლად ყუმბარებს ესროდა ბურებს. გუშინ ინგლისელნის არტილერია გამაგრებულ იქმნა დეარისაგან. ჰაეროსტატის საშუალებით საჭირო ცნობები შევიტყვეთ მტრის ბანაკში მოძრაობის შესახებ. დღეს დილით, ბრიტანიისა და კანადის ჯარების მიერ იერიშის მიტანის წყალობით, წინა სიმაგრეების აღება მოვახერხეთ. აქ გამაგრებულმა ჯარმა დილამდისინ შეიკავა თავი. ამ საქმეს დიდი მსხვერპლი არ დასჭირებია“.

დღეს დილით კრონიეს წარმომადგენლის მიერ ხელ-მოწერილ საბუთის ქაღალდში ნათქვამია, რომ კრონიე ემორჩილება ინგლისელებსაო. რობერტსმა მოითხოვა, რომ თვით კრონიე მისულიყო ინგლისელთა ბანაკში, ხოლო ჯარს იარაღი აეხსნა და თავისს ბანაკიდგან გასულიყო. შვიდ საათზედ კრონიე მოვიდა და ითხოვა, კარგათ მოგვეპყარითო, აგრეთვე ის, რომ ჩემ ცოლს, შვილის-შვილს, მდივანს, ადიუტანტს და მოსამსახურეთ ნება მიეცეთ გამომყვნენ იქ, სადაც გამგზავნითო. რობერტსმა, დაამშვიდა რა, უთხრა, რომ ეგ თხოვნა შესრულებული იქნებაო. კრონიეს თან გაჰყვება შტაბს-კაპიტანი, რომელიც განკარგულებას მოახდენს, რომ კრონიეს პატივისცემით მოეპყრან. კრონიე კაპშტადტში დღეს შუადღისას წავა, რაც შეეხება ტყვე ოფიცრებს, ისინი დღეს მოდდერ-რივერში იქმნებიან გაგზავნილი, ხოლო იქიდგან რკინის გზით კაპშტადტში.

**ლონდონი.** დედოფალი კრონიეს დამორჩილების ამბავს დიდის სიხარულით მიეგება. რობერტს დედოფალმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა. იმპერიის ყველა კუთხიდგან დეპეშები მოდის, რომლებშიაც სიხარულია გამოცხადებული. ლორდმერის სახლის წინ სამხედრო სამინისტრომ მანიფესტაციები გამართა.

**ნიუ იორკი.** ტრანსვაალის უფროსს კონსულად ნამყოფმა ლონდონში — მონტელიოს უაიტმა განაცხადა გუშინ ერთ მწერალთან ლაპარაკის დროს, რომ კრონიეს დამორჩილებით ომი ჯერ არ გათავდება და იმის დასრულება მოსალოდნელია მაშინ. თუ პრეტორია დაეცემა. სხვა სახელმწიფოების ჩარევის იმედი ცოტაა. უაიტი არ ჰფიქრობს რომ ამ მხრივ რისიმე იმედი იყვეს ევროპაში. ერთად ერთი იმედი ამერიკის მხრივ არის. ის თუ გაბედულად მოიქცევა, ომი ორს კვირაში მოთავდება, მიტომ რომ ინგლისს დიდად უღირს ამერიკის მეგობრობაო.

### წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იოსებ ლექვას, რომელმაც შემოსწირა 15 მანეთის სხვა-და სხვა ქართული წიგნები ალექსანდრე ყაზბეგის სახელობაზედ დაარსებულს წიგნთ-საცავს.

გამგე წიგნთ-საცავისა მასწავლებელი ალექსანდრე კვაჭაძე

## განცხადებანი


პუშკინის ფოტოგრაფია
ა. ს. ნორდშტეინისა,
რომელიც 1892-დან 1899 წლამდე რონოვის ფოტოგრაფიას განაგებდა,
ასრულებს ყოველ-გვარ ფოტოგრაფიულ საქმეს.
სურათების გადაღება შეიძლება ყოველ დროს, მიუხედავად ამინდისა.
სამხედრო წოდების კაცთ და მოსწავლეებს ნაკლები სასყიდელი [illegible]
ტფილისი, პუშკინის ქ., წურინოვის სახლი, თამამშევის ქარვ. პირდაპირ.
(30—44—8)

ქუთაისში
განზრახვა აქვთ იყიდონ არა დიდი სახლი ანუ მიწა ცფილისის ქუჩის მახლობლად.
ვისაც სახლისა ან ადგილის გაყიდვა სურს, თავისი წინადადება გაგზავნოს გასასყიდ სახლისა ანუ ადგილის ფასის აღნიშვნით ქუთაისის ფოსტის კანტორაში Н. А. Ч.-ს სახელობაზედ. (2—40—2)



(50—267—8)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება
თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება
„კვერცხის რძე“
სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია: დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.
ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაუგზავნებათ. (100—150—78)

იმღლევა იჯარით
სალხინო სასეირნო ბაღი
ახალ წყლის-პირის ქუჩის და ვეტცელის ქუჩის კუთხეში, ტფილისის კრუჟოკის საზაფხულო სადგომის პირდაპირ, პოლიციის მე-10 ნაწილში.
საიჯარო პირობათა შეტყობა შეიძლება ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში ბ-ნ ტერ ასატუროვთან. (5—39—4)